

თამარ ვაშაკიძე

დანართიან და უდანართო სათაურ-სახელწოდებათა მართლწერისათვის

1) დანართიანი სათაურ-სახელწოდებანი

თანამედროვე ქართულში გამოიყოფა დანართიან სათაურ-სახელწოდებათა ორი ძირითადი ტიპი. ერთ შემთხვევაში სახელწოდება წარმოდგენილია ერთ-ან ორშემადგენლიანი სახელობითი ბრუნვის ფორმით (ლექსი „განთიადი“, ლექსი „არწივი“, პოემა „სტუმარ-მასპინძელი“, რომანი „არსენა მარაბდელი“...), ხოლო სხვა შემთხვევაში – დანარჩენი ბრუნვის ფორმებით (ლექსი „ხანჯალს“, მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“, ლექსი „უსიყვარულოდ“, ლექსი „საქართველოო, ლამაზო!“...), თანდებულებიანი ფორმებით (ლექსი „წამყე ბეთანიისაკენ“, ლექსი „ხატის წინ“...), ზმნისართით (კინოფილმი „გუშინ, დღეს, ხვალ“...), კავშირით (ბუნებრივია, ივარაუდება სახელწოდების ბოლო კომპონენტი) (კინოფილმი „ვიცი, რომ“...), ზმნით, ზმნური შესიტყვებითა თუ მთელი წინადადებით (ლექსი „მესმის, მესმის“, კინოფილმი „მაღე მოვალ“, სტატია „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“...) და ა. შ.*

ორსავე შემთხვევაში გამოიყოფა დანართის ორი ტიპი – თანხმოვანფუძიანი (ლექსი „განთიადი“, ლექსი „წამყე ბეთანიისაკენ“...) და ხმოვანფუძიანი (პოემა „გამზრდელი“, მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“...).

როცა სათაურ-სახელწოდება წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, ხმოვანფუძიანი დანართი, რა თქმა უნდა, უცვლელი რჩება ყველა ბრუნვაში (ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მხოლოდ საზღვრული წევრი). რაც შეეხება თანხმოვანფუძიან დანართს, იგი მი-

* აღნიშნულ საკითხებს ასევე ეძღვნება შემდეგი სტატიები: ნ. ცქიტიშვილი, დანართის ძირითადი სტილისტიკური ფუნქციები და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი V, 1983, თბილისი; შ. აფრიდონიძე, დანართიანი სათაურ-სახელწოდებანი კონტექსტში, „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“ დანართი (გვ. 493, 497), 2011, თბილისი.

სდევს ხელობა-თანამდებობის აღმნიშვნელი მსაზღვრელების ბრუნებას, მაშასადამე, თანხმოვანფუძიანი დანართი ეთანხმება თავის საზღვრულს ყველა ბრუნვაში, გარდა ნათესაობით-მოქმედებითისა (ეს უკანასკნელი მიცემით-ვითარებითის ფორმებს იმეორებენ).

თანხმოვანფუძიანი დანართი

ხმოვანფუძიანი დანართი

სახ. **ლექსი** „განთიადი“
 მოთხრ. **ლექსმა** „განთიადმა“
 მიც. **ლექს** „განთიადს“
 ნათ. **ლექს** „განთიადის“
 მოქმ. **ლექს** „განთიადით“
 ვით. **ლექს** „განთიადად“

პოემა „ბახტრიონი“
პოემა „ბახტრიონმა“
პოემა „ბახტრიონს“
პოემა „ბახტრიონის“
პოემა „ბახტრიონით“
პოემა „ბახტრიონად“

თანდებულიანი ფორმებით

თანხმოვანფუძიანი დანართი

ხმოვანფუძიანი დანართი

ლექს „განთიადში“/„განთიადზე“/
 „განთიადთან“/„განთიადის(ა)თვის“/
 „განთიადიდან“...

პოემა „ბახტრიონში“/„ბახტრიონზე“/
 „ბახტრიონთან“/
 „ბახტრიონის(ა)თვის“/„ბახტრიონიდან“...

თუ სათაურ-სახელწოდება წარმოდგენილია სხვა ბრუნვის ფორმებით (არასახელობითით, თანდებულიანი ვარიანტებით, ზმნით, ზმნისართით, წინადადებით...), დანართის ფუძეს (თანხმოვანზეა ის დაბოლოებული თუ ხმოვანზე) მნიშვნელობა აღარ აქვს. ეს უკანასკნელი ყოველთვის თავად დაირთავს ბრუნვის ნიშნებსა და თანდებულებს (მაშასადამე, ამ შემთხვევაში ის არ მიჰყვება ხელობა-თანამდებობის აღმნიშვნელ მსაზღვრელებს), ხოლო საზღვრული წევრი (სათაური) უცვლელად დარჩება.

თანხმოვანფუძიანი დანართი

ხმოვანფუძიანი დანართი

სახ. **კინოფილმი** „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“
 მოთხრ. **კინოფილმმა** „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“

მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“
მოთხრობამ „შელოცვა რადიოთი“

მიც.	კინოფილმს „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“	მოთხრობას „შელოცვა რადიოთი“
ნათ.	კინოფილმის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“	მოთხრობის „შელოცვა რადიოთი“
მოქმ.	კინოფილმით „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“	მოთხრობით „შელოცვა რადიოთი“
ვით.	კინოფილმად „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“	მოთხრობად „შელოცვა რადიოთი“

თანდებულიანი ფორმებით

კინოფილმზე/კინოფილმში/ კინოფილმთან/კინოფილმის(ა)- თვის/კინოფილმიდან... „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“	მოთხრობაზე/მოთხრობაში/ მოთხრობასთან/მოთხრობი- ს(ა)თვის/მოთხრობიდან... „შელოცვა რადიოთი“
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა სათაურ-სახელწოდება წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმით. აქ გამოიყოფა ორი ტიპი: ერთ შემთხვევაში სათაური ებიანი მრავლობითითაა გამოხატული, ხოლო სხვა შემთხვევაში – ნარიანით.

პირველი შემთხვევისათვის (როცა სახელწოდება ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი) დასაშვებად მიგვაჩნია ორივე ვარიანტი: პირველი იმის გამო, რომ სახელწოდება სახელობითბრუნვისფორმიანია და უპრობლემოდ დაირთავს სხვა ბრუნვის ნიშნებსა თუ თანდებულებს, მეორე ვარიანტი კი, ვფიქრობთ, იმიტომ, რომ მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი სათაური ფორმაცვალების გარეშე უფრო გამართული ჩანს სტილური თვალსაზრისით (ეს განსაკუთრებით შეეხება თანდებულიან ფორმებს, შდრ.: კინოფილმ „ძმებისათვის“ და კინოფილმისათვის „ძმები“; კინოფილმ „ძმებიდან“ და კინოფილმიდან „ძმები“).

ა) თანხმოვანფუძიანი დანართი მისდევს ხელობა-თანამდებობის აღმნიშვნელი მსაზღვრელების ბრუნებას

ბრუნვის ნიშნებით	თანდებულიანი ფორმებით
სახ. კინოფილმი „ძმები“ მოთხრ. კინოფილმმა „ძმებმა“	კინოფილმ „ძმებზე“/„ძმებში“/ „ძმებთან“/„ძმების(ა)თვის“/

მიც.	კინოფილმი „ძმებს“	„ძმებიდან“
ნათ.	კინოფილმი „ძმების“	
მოქმ.	კინოფილმი „ძმებით“	
ვით.	კინოფილმი „ძმებად“	

ბ) ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით გაფორმებულია მხოლოდ დანართი

ბრუნვის ნიშნებით	თანდებულებით
სახ. კინოფილმი „ძმები“	კინოფილმზე/კინოფილმში/
მოთხრ. კინოფილმმა „ძმები“	კინოფილმთან/კინოფილმი-
მიც. კინოფილმს „ძმები“	ს(ა)თვის/კინოფილმიდან
ნათ. კინოფილმის „ძმები“	„ძმები“
მოქმ. კინოფილმით „ძმები“	
ვით. კინოფილმად „ძმები“	

რაც შეეხება ნარიანი მრავლობითი წარმოდგენილ სახელწოდებას (კინოფილმი „ანგელოზნი“ ტიპისა), ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დასაშვები იქნება მხოლოდ ერთი ვარიანტი – როცა ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით ფორმდება თავად დანართი. ბუნებრივია, არ გვექნება კინოფილმმა „ანგელოზნი“...

ბრუნვის ნიშნებით	თანდებულებით
სახ. კინოფილმი „ანგელოზნი“	კინოფილმზე/კინოფილმში/
მოთხრ. კინოფილმმა „ანგელოზნი“	კინოფილმთან/კინოფილმი-
მიც. კინოფილმს „ანგელოზნი“	ს(ა)თვის/კინოფილმიდან
ნათ. კინოფილმის „ანგელოზნი“	„ანგელოზნი“
მოქმ. კინოფილმით „ანგელოზნი“	
ვით. კინოფილმად „ანგელოზნი“	

* * *

ძალიან ხშირად ამა თუ იმ ჟანრის სათაურ-სახელწოდებას თან ახლავს საკუთარი მსაზღვრელებით წარმოდგენილი დანართი, მაგ., დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ლექსი „განთიადი“, დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“... ამ შემთხვევაშიც არასახელობითი ბრუნვის ფორმე-

ბით (თანდებულისანი ვარიანტებით, ზმნისართით, ზმნით, ზმნური შესიტყვებით...) წარმოდგენილი სახელწოდება, ბუნებრივია, კვლავ უცვლელად დარჩება და ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით მხოლოდ მსაზღვრელი წევრი (მაშასადამე, დანართი – თანხმოვან-ფუძიანი თუ ხმოვანფუძიანი) გაფორმდება.

თანხმოვანფუძიანი დანართი

- სახ. დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსი** „წამყე ბეთანიისაკენ“
- მოთხრ. დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსმა** „წამყე ბეთანიისაკენ“
- მიც. დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსს** „წამყე ბეთანიისაკენ“
- ნათ. დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსის** „წამყე ბეთანიისაკენ“
- მოქმ. დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსით** „წამყე ბეთანიისაკენ“
- ვით. დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსად** „წამყე ბეთანიისაკენ“

თანდებულისანი ფორმებით

- დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსზე** „წამყე ბეთანიისაკენ“
- დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსში** „წამყე ბეთანიისაკენ“
- დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსთან** „წამყე ბეთანიისაკენ“
- დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსისათვის** „წამყე ბეთანიისაკენ“
- დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსიდან** „წამყე ბეთანიისაკენ“

ხმოვანფუძიანი დანართი

- სახ. დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის **მოთხრობა** „შელოცვა რადიოთი“
- მოთხრ. დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის **მოთხრობამ** „შელოცვა რადიოთი“
- მიც. დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის **მოთხრობას** „შელოცვა რადიოთი“

- ნათ. დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის **მოთხრობის**
„შელოცვა რადიოთი“
- მოქმ. დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის **მოთხრობით**
„შელოცვა რადიოთი“
- ვით. დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის **მოთხრობად**
„შელოცვა რადიოთი“

თანდებულიანი ფორმებით

- დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის **მოთხრობაზე**
„შელოცვა რადიოთი“
- დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის **მოთხრობაში**
„შელოცვა რადიოთი“
- დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის **მოთხრობასთან**
„შელოცვა რადიოთი“
- დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის **მოთხრობის(ა)თვის**
„შელოცვა რადიოთი“
- დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის **მოთხრობიდან**
„შელოცვა რადიოთი“

რაც შეეხება სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ ერთ- ან ორშემადგენლიან სათაურ-სახელწოდებებს (**ლექსი** „პოეტ“, **პოემა** „ალუდა ქეთელაური“, **რომანი** „არსენა მარაბდელი“/ „დიდოსტატის მარჯვენა“...), ისინი, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც (როცა დანართს თავისი მსაზღვრელები ახლავს) შეითანხმებენ თანხმოვანფუძიან მსაზღვრელ-დანართს (როგორც ხელობა-თანამდებობის აღმნიშვნელ სახელებს), ხოლო ხმოვანფუძიანი მსაზღვრელები უცვლელად წარმოგვიდგებიან, თუმცა ამ რეკომენდაციას შეიძლება დაემატოს მეორეც: მსაზღვრელებიანი დანართის მქონე სათაურ-სახელწოდებათა გამოყენებისას ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით გაფორმდეს თავად დანართი (როგორც ეს გვაქვს არასახელობითბრუნვისფორმიან სათაურ-სახელწოდებებთან დაკავშირებული დანართის შემთხვევაში), რადგან ზოგ ბრუნვასა (განსაკუთრებით მოქმედებითს) თუ თანდებულიან ფორმას (თითქმის ყველას) სტილური თვალსაზრისით სწორედ დანართგაფორმებული ვარიანტები უფრო შეეფერება, მაგ., მოსწავლეები აღაფრთოვანა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსმა „თოვლმა“, შდრ.: მოსწავლეები აღაფრთოვანა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის

ლექსმა „თოვლი“; მოსწავლეები ზეპირად სწავლობენ დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექს „თოვლს“, შდრ.: მოსწავლეები ზეპირად სწავლობენ დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „თოვლი“; მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექს „თოვლის“ ზეპირად შესწავლა, შდრ.: მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „თოვლი“ ზეპირად შესწავლა; მოსწავლეები აღფრთოვანებული არიან დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექს „თოვლით“, შდრ.: მოსწავლეები აღფრთოვანებული არიან დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „თოვლი“...; ან კიდევ: მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა განხილვის დაწერა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექს „თოვლზე“, შდრ.: მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა განხილვის დაწერა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე „თოვლი“; დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექს „თოვლში“ საუბარია „ცივი სისოვლის“ მწუხარე განცდის შესახებ, შდრ.: დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „თოვლი“ საუბარია „ცივი სისოვლის“ მწუხარე განცდის შესახებ; ნაწყვეტი დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექს „თოვლიდან“, შდრ.: ნაწყვეტი დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „თოვლი“...

მსაზღვრელებიანი დანართის მქონე სათაურ-სახელწოდებანი

- საზ. დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსი** „თოვლი“
- მოთხრ. დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსმა** „თოვლი“
- მიც. დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსს** „თოვლი“
- ნათ. დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსის** „თოვლი“
- მოკმ. დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსით** „თოვლი“
- ვით. დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსად** „თოვლი“

თანდებულებიანი ფორმებით

- დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსზე** „თოვლი“
- დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსში** „თოვლი“
- დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსთან** „თოვლი“

დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსის(ა)თვის** „თოვლი“
 დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის **ლექსიდან** „თოვლი“

სათაურ-სახელწოდებათა ერთი ნაწილი თავად წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულს. აქ ყურადღება უნდა მიექცეს სათაურის პირველ კომპონენტს, რომელიც შეიძლება იყოს თანხმოვანფუძიანი (კინოფილმი „**დიდი** გასეირნება“...) ან ხმოვანფუძიანი („ლექსი „**ბოშა** ქალი“...), სათაურის მსაზღვრელი ნაწილი შეიძლება იყოს აგრეთვე შებრუნებული წყობის თანხმოვანფუძიანი (ლექსი „სული **ობოლი**“...), შებრუნებული წყობის ხმოვანფუძიანი (ლექსი „ბალახი **მწვანე**“...), მრავლობითი რიცხვის ფორმის („კინოფილმი „**ჩვენი** ეზო“...), შებრუნებული წყობის მრავლობითი რიცხვის ფორმის („მოთხრობა „მთანი **მაღალი**“...), სუბსტანტიური (რომანი „**დიდოსტატის** მარჯვენა“...), შებრუნებული წყობის სუბსტანტიური (პოემა „**ბედი ქართლისა**“...).

თანხმოვანზე ფუძეგათავებული დანართის ბრუნება მისდევს ხელობა-თანამდებობის აღმნიშვნელ მსაზღვრელ სახელებს მხოლოდ მაშინ, როცა სათაურის პირველი კომპონენტი (მსაზღვრელი ნაწილი) უცვლელია, მაშასადამე, ის ან ხმოვანფუძიანია (ლექსი „**ბოშა** ქალი“), ან – სუბსტანტიური (რომანი „**დიდოსტატის** მარჯვენა“):

სახ.	ლექსი	„ბოშა ქალი“	რომანი	„დიდოსტატის მარჯვენა“
მოთხრ.	ლექსმა	„ბოშა ქალმა“	რომანმა	„დიდოსტატის მარჯვენამ“
მიც.	ლექს	„ბოშა ქალს“	რომან	„დიდოსტატის მარჯვენას“
ნათ.	ლექს	„ბოშა ქალის“	რომან	„დიდოსტატის მარჯვენის“
მოქმ.	ლექს	„ბოშა ქალით“	რომან	„დიდოსტატის მარჯვენით“
ვით.	ლექს	„ბოშა ქალად“	რომან	„დიდოსტატის მარჯვენად“

თანდებულებიანი ფორმებით

ლექს	„ბოშა ქალზე“	რომან	„დიდოსტატის მარჯვენაზე“
ლექს	„ბოშა ქალში“	რომან	„დიდოსტატის მარჯვენაში“
ლექს	„ბოშა ქალთან“	რომან	„დიდოსტატის მარჯვენასთან“
ლექს	„ბოშა ქალის(ა)თვის“	რომან	„დიდოსტატის მარჯვენის(ა)თვის“
ლექს	„ბოშა ქალიდან“	რომან	„დიდოსტატის მარჯვენიდან“

ყველა სხვა შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით უნდა გაფორმდეს მხოლოდ დანართი, რათა მკითხველს არ გაუჭირდეს სათაურის სწორად აღქმა. მაგ., როცა ვწერთ და ვამბობთ კინოფილმ „დიდი გასეირნებას“ (მიც. ბრუნვის ფორმით), ბუნებრივია, იგულისხმება, რომ კინოფილმის სახელწოდებაა (სახ. ბრუნვის ფორმით) „დიდი გასეირნება“, შესაბამისად, როცა ვამბობთ (ან ვწერთ) ლექს „დაკარგულ ოცნებას“, ლექსის სათაური (სახ. ბრუნვის ფორმით) უნდა იყოს „დაკარგული ოცნება“, თუმცა ამ შემთხვევაში სათაური თავადაა მიცემითბრუნვისფორმიანი – ლექსი „დაკარგულ ოცნებას“. ანალოგიური ვითარება გვაქვს სხვა შემთხვევებშიც: ლექსი „ჩემს გამზრდელს“, წერილი „ჩვენს ოპონენტებს“ და სხვ.

**ორკომპონენტია სათაურის მსაზღვრელი ნაწილი
თანხმოვანფუძიანი სახელია („დიდი გასეირნება“)**

ბრუნვის ნიშნებით

თანდებულებიანი ფორმებით

სახ.	კინოფილმი	„დიდი გასეირნება“	კინოფილმზე/ კინოფილმში/ მოთხრ.	კინოფილმმა	„დიდი გასეირნება“	
მიც.	კინოფილმს	„დიდი გასეირნება“	ს(ა)თვის/კინოფილმიდან	ნათ.	კინოფილმის	„დიდი გასეირნება“
მოქმ.	კინოფილმით	„დიდი გასეირნება“	„დიდი გასეირნება“	ვით.	კინოფილმად	„დიდი გასეირნება“

**ორკომპონენტია სათაურის მსაზღვრელი ნაწილი შებრუნებული
წყობის თანხმოვანფუძიანი სახელია („სული ობოლი“)**

ბრუნვის ნიშნებით

თანდებულებიანი ფორმებით

სახ.	ლექსი	„სული ობოლი“	ლექსზე/ლექსში/ლექსთან/ მოთხრ.	ლექსმა	„სული ობოლი“	
მიც.	ლექსს	„სული ობოლი“	ლექსის(ა)თვის/ლექსიდან	ნათ.	ლექსის	„სული ობოლი“
მოქმ.	ლექსით	„სული ობოლი“	„სული ობოლი“	ვით.	ლექსად	„სული ობოლი“

**ორკომპონენტიანი სათაურის მსაზღვრელი ნაწილი შეზღუდული
წყობის ხმოვანფუძიანი სახელია („ბალახი მწვანე“)**

ბრუნვის ნიშნებით	თანდებულებიანი ფორმებით
სახ. ლექსი „ბალახი მწვანე“	ლექსზე/ლექსში/ლექსთან/
მოთხრ. ლექსმა „ბალახი მწვანე“	ლექსის(ა)თვის/ლექსიდან
მიც. ლექსს „ბალახი მწვანე“	„ბალახი მწვანე“
ნათ. ლექსის „ბალახი მწვანე“	
მოქმ. ლექსით „ბალახი მწვანე“	
ვით. ლექსად „ბალახი მწვანე“	

**ორკომპონენტიანი სათაურის მსაზღვრელი ნაწილი მრავლობითი
რიცხვის ფორმით წარმოდგენილი სახელია („ჩვენი ეზო“)**

ბრუნვის ნიშნებით	თანდებულებიანი ფორმებით
სახ. კინოფილმი „ჩვენი ეზო“	კინოფილმზე/კინოფილმში/
მოთხრ. კინოფილმმა „ჩვენი ეზო“	კინოფილმთან/კინოფილმი-
მიც. კინოფილმს „ჩვენი ეზო“	ს(ა)თვის/კინოფილმიდან
ნათ. კინოფილმის „ჩვენი ეზო“	„ჩვენი ეზო“
მოქმ. კინოფილმით „ჩვენი ეზო“	
ვით. კინოფილმად „ჩვენი ეზო“	

**ორკომპონენტიანი სათაურის მსაზღვრელი ნაწილი შეზღუდული
წყობის მრავლობითი რიცხვის ფორმას (მოთხრობა „მთანი
მაღალნი“)**

ბრუნვის ნიშნებით	თანდებულებიანი ფორმებით
სახ. მოთხრობა „მთანი მაღალნი“	მოთხრობაზე/მოთხრობაში/
მოთხრ. მოთხრობამ „მთანი მაღალნი“	მოთხრობასთან/მოთხრობი-
მიც. მოთხრობას „მთანი მაღალნი“	ს(ა)თვის/მოთხრობიდან
ნათ. მოთხრობის „მთანი მაღალნი“	„მთანი მაღალნი“
მოქმ. მოთხრობით „მთანი მაღალნი“	
ვით. მოთხრობად „მთანი მაღალნი“	

ორკომპონენტიანი სათაურის მსაზღვრელი ნაწილი შეზღუდული წყობის სუბსტანტიური სახელია (პოემა „ბედი ქართლისა“)

ბრუნვის ნიშნებით

სახ. პოემა „ბედი ქართლისა“
მოთხრ. პოემამ „ბედი ქართლისა“
მიც. პოემას „ბედი ქართლისა“
ნათ. პოემის „ბედი ქართლისა“
მოქმ. პოემით „ბედი ქართლისა“
ვით. პოემად „ბედი ქართლისა“

თანდებულიანი ფორმებით

პოემაზე/პოემაში/პოემასთან/
პოემის(ა)თვის/პოემიდან
„ბედი ქართლისა“

2) უდანართო სათაურ-სახელწოდებანი

უდანართოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ის სა-
თაურ-სახელწოდებანი, რომლებიც წარმოდგენილია: ა) ერთიბუნობიანი სახელობითი ბრუნვის ფორმით („განთიადი“, „განთიადმა“..., „განთიადში“, „განთიადიდან“...); ბ) ასევე სახელობითი ბრუნვის ფორმით გამოხატული კომპოზიციით („სტუმარ-მასპინძელი“, „სტუმარ-მასპინძელმა“, „სტუმარ-მასპინძელს“..., „სტუმარ-მასპინძელში“...); გ) სახელითა და გვართ ან ზედწოდებით („არსენა მარაბდელი“, „არსენა მარაბდელმა“..., „არსენა მარაბდელზე“...).

სათაურის უდანართოდ წარმოდგენა გამართლებულად მიგვაჩნია მაშინაც, როცა ორსიტყვიანი სახელწოდების მსაზღვრელი წევრი ხმოვანფუძიანია. ის, ბუნებრივია, ბრუნვის ნიშნებისა და თანდებულების დართვას აღარ საჭიროებს (შესაბამისად, იბრუნვის სათარის მხოლოდ ბოლო კომპონენტი, მაგ., „ბოშა ქალი“, „ბოშა ქალმა“, „ბოშა ქალს“...). ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა ორსიტყვიანი სახელწოდების პირველი ნაწილი სუბსტანტიური მსაზღვრელია (მაგ., „დიდოსტატის მარჯვენა“, „დიდოსტატის მარჯვენამ“, „დიდოსტატის მარჯვენას“...). რა თქმა უნდა, ამ სახელწოდებათა გამოყენება შეიძლება როგორც უდანართოდ, ისე დანართით. ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში (რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი) აუცილებელია სათაურთან ერთად დანართის მოხმო-

ბაც, რათა ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით გაფორმდეს სწორედ ეს უკანასკნელი (დანართი).

* * *

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ არცერთი ზემოთ განხილული ვარიანტისათვის არ უნდა აიკრძალოს ის შემთხვევა, როცა ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით ფორმდება მხოლოდ დანართი (ლექს „განთიადში“//ლექსში „განთიადი“, პოემა „სტუმარ-მასპინძლიდან“//პოემიდან „სტუმარ-მასპინძელი“, რომან „არსენა მარაბდელზე“//რომანზე „არსენა მარაბდელი“ და სხვა). ზოგჯერ სტილებრივად სწორედ ეს ვარიანტები უფრო გამართული ჩანს.

Tamar Vashakidze

On Spelling Titles and Names with or without Insertions

S u m m a r y

The paper deals with titles and names with or without insertions. We have separated the cases where just the insertion should add the case markers and the postpositions and when it is declined as a qualifier denoting a craft or a position.